ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

პავლე აბაიაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

თეა ჭეიშვილი - კოლეგიის წევრი

მარინე კვაჭაძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ნ. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.06.2013

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №073/13

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ დ. კ.–ის /სიითი №/; ი. შ. - ს /სიითი №/; ე. პ.–ის /სიითი №/; ე. გ.–ის /სიითი №/; გ. ქ.–ის /სიითი №/; ი. კ.ს /სიითი №/; ლ. ქ.–ის /სიითი №/; კ. ბ.ს /სიითი №/; დ. კ.–ის /სიითი №/; მიმართ.

საჩივრის მოთხოვნა: დ. კ.–ის, ი. შ.–ს, ე. პ.–ის, ე. გ.–ის, გ. ქ.–ის, ი. კ.–ს, ლ. ქ.–ის, კ. ბ.–სა და დ. კ.–ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერლობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2013 წლის 26 ივნისს ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ნ. კ. – მა და მოითხოვა ადვოკატ დ. კ. – ისათვის, ი. შ. - სთვის, ე. პ.– ისთვის, ე. გ. – ისთვის, გ. ქ. – ისთვის, ი. კ. – სთვის, ლ. ქ. – ისთვის, კ. ბ. – სა და დ. კ. – ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2013 წლის 08 იანვრით დათარიღებული ს.ს.ი.პ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის # გაყალბებული და უკანონო

გადაწყვეტილებით ბრალი დაედო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში და დისციპლინურ სახდელად განესაზღვრა საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 (ექვსი) თვის ვადით.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ თითქოს იგი ერთდროულად იყო მომჩივან ხ. კ. – ის არბიტრი, ადვოკატი და შუამავალი, რის გამოც მას მიადგა მატერიალური, ფიზიკური და მორალური ზიანი. აღნიშნული არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან იგი სხვადასხვა საქმეზე ახორციელებდა არბიტრისა და ადვოკატის ფუნქციას, ერთი საქმე წარმოადგენდა საარბიტრაჟოს, ხოლო მეორე ადმინისტრაციულს, ასევე განსხვავდებოდა დავის საგანი, მხარეები და საფუძველი. შესაბამისად, მისი მხრიდან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 და მე-3 მუხლის მოთხოვნების დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, თვალს ვერ დახუჭავს ეთიკის კომისიის წევრების მიერ ჩადენილ კანონდარღვევებზე, რის გამოც მას, როგორც ადვოკატს მორალური და მატერიალური ზიანი მიადგა. კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა საქმის განხილვისას უხეშად დაარღვიეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლისა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-13 მუხლის მოთხოვნები და საქმეს ოთხი თვის ნაცვლად წელიწადსა და ხუთი თვის განმავლობაში (2011 წლის 01 დეკემბრიდან - 2013 წლის 23 მაისამდე) აწარმოებდნენ.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ დისციპლინური სახდელის დადების საკითხი განხილულ უნდა იქნეს ეთიკის კომისიის სხდომაზე და ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილება გამოცხადდეს საჯაროდ, საქმის მასალებით დგინდება, რომ 2012 წლის 26 დეკემბერს ჩატარებული ეთიკის კომისიის სხდომა ისე დაიხურა, რომ გადაწყვეტილება არ მიუღია და არც დისციპლინური სახდელი დაუკისრებიათ. შემდეგ სხდომა აღარ ჩატარებულა, საქმეში სხვა ოქმი არ მოიპოვება და 26 დეკემბრის ოქმის შემდეგ მოთავსებულია 2013 წლის 08 იანვრის გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის ფაქტი, რომ 2013 წლის 08 იანვარს ეთიკის კომისიას სხდომა არ ჩაუტარებია და გადაწყვეტილება არ მიუღია, ნიშნავს, რომ ეთიკის კომისიის წევრებმა გაურკვეველ დროსა და ვითარებაში შექმნეს ყალბი დოკუმენტი, რაც სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედებაა, მიუხედავად იმისა, ქმედების ჩამდენი კერძო პირია თუ საჯარო მოხელე.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, კომისიის წევრმა ადვოკატებმა პირადი უსაფრთხოებისა და კომფორტის სანაცვლოდ ფეხქვეშ გათელეს კანონის ნორმები და ცილი დასწამეს. შესაბამისად. აღნიშნულ ადვოკატებს არ აქვთ მორალური უფლება ისაუბრონ ეთიკასა და მორალზე.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, ეთიკის კომისიის ზემოაღნიშნული წევრები უნდა ჩამოსცილდენენ საქმის განხილვას.

II სამოტივაციო ნაწილი

2. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

2.1 ადვოკატები დ. კ. /სიითი №/ სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის; ი. შ. /სიითი №/ სისხლის სამართლის სპეციალიზაციის; ე. პ. /სიითი №/ საერთო სპეციალიზაციის; ე. გ. /სიითი №/ სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის; გ. ქ. /სიითი №/ საერთო სპეციალიზაციის; ი. კ. /სიითი №/ სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის; ლ. ქ. /სიითი №/ საერთო სპეციალიზაციის; კ. ბ. /სიითი №/ საერთო სპეციალიზაციის; დ. კ. /სიითი №/ სისხლის სამართლის სპეციალიზაციის - არიან ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრები. ადვოკატთა წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატები არ არიან გარიცხულნი ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან".

2.2 ნ. კ. – მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2013 წლის 26 ივნისს.

2.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2013 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

3. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ დ. კ. – ის, ი. შ. – ს, ე. პ. – ის და ე. გ. – ის, ი. კ. – ს, გ. ქ. – ის, ლ. ქ. – ის, კ. ბ. – სა და დ. კ. – ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება, რადგან მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის შეწყვეტის საფუძველი.

4. სამართლებრივი შეფასება:

4.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ეთიკის კომისიის ზემოაღნიშნულმა წვრებმა დაარღვიეს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონისა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მოთხოვნები და გააყალბეს გადაწყვეტილება.

4.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პრეამბულის მიხედვით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებსა და ქცევის წესებს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ,,ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება: ა) ამ

კანონის მე-5 - მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისთვის; ბ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის." ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 - მე-9 მუხლები, ისევე როგორც ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმები, განსაზღვრავენ ადვოკატის ქცევის წესებს კლიენტების, კოლეგების, სასამართლოსა და პროცესის მონაწილე სხვა პირთა მიმართ, მაშინ, როდესაც ადვოკატი ასრულებს პროფესიულ ფუნქციას.

4.3 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე–6 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია ,,პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები," ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ,,ეთიკის კომისია ამოწმებს ადვოკატზე შემოსულ ინფორმაციას, სწავლობს მის საფუძვლიანობას და წყვეტს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს," ხოლო ამავე დებულების მე–9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში."

4.4 ეთიკის კომისია მიუთითებს, რომ საჩივარში მითითებული საკითხის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში. საჩივრის ავტორის პრეტენზია ეხება დ. კ. – ის, ი. შ. – ს, ე. პ. – ის, ე. გ. – ის, გ. ქ. – ის, ი. კ. – ს, ლ. ქ. – ის, კ. ბ. – სა და დ. კ. – ის მიერ არა როგორც ადვოკატის, არამედ როგორც ეთიკის კომისიის წევრის მიერ განხორციელებულ ქმედებებს. ეთიკის კომისია მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რომელიც შეეხება ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სისწორეს ანდა კანონიერებას. საჩივრის ავტორს შეუძლია გაასაჩივროს ეთიკის კომისიის განხილვის გადაწყვეტილება ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების" შესახებ დებულების მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით.

4.5 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების" შესახებ დებულების მე–9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით, რომლის მიხედვით ,,ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში."

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით, მე-20 მუხლით, 27-ე

მუხლით, 28-ე მუხლით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №073/13 ადვოკატ დ. კ.–ის /სიითი №/; ი. შ.–ს /სიითი №/; ე. პ.–ის /სიითი №/; ე. გ.–ის /სიითი №/; გ. ქ.–ის /სიითი №/; ი. კ.–ს /სიითი №/; ლ. ქ.–ის/სიითი №/; კ. ბ.ს /სიითი №/; დ. კ.–ის /სიითი №/; მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილებების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /პავლე აბაიაძე/

კოლეგიის წევრი: /თეა ჭეიშვილი/

კოლეგიის წევრი: /მარინე კვაჭაძე/